საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის

დადგენილება №76
2022 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილების (სსმ III, №2, 09.01.2006წ., სარეგისტრაციო კოდი 300.320.000.16.009.007.995) მე-4 მუხლში მოცემული ცხრილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

”

1.	შპს „თბილისი ენერჯი“: ა) 2023 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე	30.941	13.214	45.738
	ბ) 2026 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 1 იანვრამდე	32.772	12.500	46.610

“.

მუხლი 2

შპს „თბილისი ენერჯის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფში ფასნამატის ოდენობა შეადგენს 1.000 თეთრი/კუბური მეტრი.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	დავით ნარმანია
კომისიის წევრი	მაია მელიქიძე
კომისიის წევრი	გოჩა შონია
კომისიის წევრი	გიორგი ფანგანი